ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49. 492436114**
თარიღი:**26/12/2024**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსის მარკა/ მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149; საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 დეკემბრის N48-482435253 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ სამსახურებრივი საჭიროებისათვის საკუთრებაში გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსი - მარკა/ მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106^1-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებას“ სამსახურებრივი საჭიროებისათვის საკუთრებაში გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსი - მარკა/ მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149.

2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ავტობუსის მარკა/ მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149; სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე,“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის Nგ-49.492420813 განკარგულება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი